საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №173

20 12 წ. "03" 07

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის - მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,სწავლების სწავლა" (3 კრედიტი) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების" მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის - მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - ,,სწავლების სწავლა" (3 კრედიტი) უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 3 ივლისის №5 სხდომის ოქმის 41- ე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ბაჩანა შენგელია

მდივანი
დიმიტრი ალავიძე